

190
1949 / 3

№ 5 26 სექ 1949

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



საბავშვო ბიბლიოთეკა



პ ი ო ნ ე რ ი

საბავშვო ალკაცენტრალური კომიტეტის
შოვალთვიური საბავშვო შუბნალი

№ 51 მაისი 1949

გამომცემლობა

„კომუნისტი“

წელიწადი XXIII

П И О Н Е Р И Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

გ ა მ ო ც დ ე ბ ზ ე

კვლავ სკოლისკენ მიიჩქარის
ცუღლუბობით ვინც არ მოცდა,
ბეჯითია, სულ წინ არის,
არ აღონებს მას გამოცდა.

ნაცნობ მერხზე დინჯად ჯდება
პირცქრიალა, შებლხათელი,
შეკითხვებზე არ შეცდება,
მაინც იპყრობს ერუანტელი.

გულს უხარებს მასწავლებელს
მისწრებული პასუხებით.
თავდადებით ცოდნის მძებნელს
ყველა ხედება კლასში ქებით.

რაც ისწავლა ა-ნი, ბ-ანი
და პირველი ანგარიში,
მუდამ არის ხუთოსანი,
ჩამოორჩენის არ აქვს შიში.

წელს შერჩეულ თემად ჰქონდა
დაეწერა „ჩემო შეინდაე!“
რაც იცოდნა, მოაგონდა
და შეუღდა წერას მშვილად.

წამოუღდა თვალწინ კეთილს
ღედისერთა სოსოს დარდი.
სწორად სვამდა მიიმეს, წერტილს
ჩვენი ქვეყნის გულისცარი.

ღროს თამაშით როდი ვარგავს
ვისაც ძვირად უღირს წუთი.
ის ხუთეგზეთ ეურნალს ჰქვარავს,
მწკრივად მისდგეს მის გეარს ხუთი.

სწავლით გააქვს ბეჯითს ღელთ,
სწავლავსა ნორითა ლხენა,
კვლავ გამოვად ზრდის საქართველო
ვისაც უყვარს ღუდაუნა.

პარლან შარული

ს ა მ ა ი ს ო

— ერთი, ორი, — ისმის ხმები
ჰა, მოდიან მკვირცხლი ძმები;
გამარჯვების მოგონებით
იმღერებენ გოგონები.
ბრწყინავს ზეცა დიხატული,
ელავს დროშა აღმართული;
რა ზეიმი, რა ხალისი,
რა დილაა, რა მაისი!
ქუჩა ვარდით მოფენილა,
რა მერცხლები მოფრენილანს
ზზე იცინის სხივთა მფრქვევი,
ფრთას შლის კობტა ყელსახვევი.

სიხარულით ფეთქავს გული,
ზეიმი აზნახული.
ქღურტულებზე ყმაწვილები,
ბრძენი კაცის დაზრდილები...
ღამით ისმის მშლავრი ხმები,
ცას წელღებთან შუშუნენები.
რა ღამაზად ჰქუხს და ელავს
გამარჯვების ცისარტყელა.
მოლყრაით თავი ბავშვებს,
გულს მაისის სხივი ავსებს;
შესცქერიან ზეცას ფერადს,
შეჭხარებენ ჩვენს დიდ ბელადს.

კ. გოთიაშვილი

6292.



საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი
იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი



ბუნების კ სკოლის ზეიძი

მაისია. სიცოცხლის კიდევ უფრო მოჭარბებულ ძალას ვგრძნობთ. კეკლუცი გაზაფხული გვატკბობს. ბუნება და ხალხი ზეიმობს. დიადი დღესასწაულების დღეა მაისი — ამ თვეს ჩვენ აღენიშნავთ ორ ღირსშესანიშნავ, ისტორიულ თარიღს — 1 მაისს და 9 მაისს.

ღალად ვსუნთქავთ გაზაფხულის მაცოცხლებელ ჰაერს, უხვად გვეფრქვევა ცხოველ-მყოფელი მზის სხივები. უფროსებთან ერთად სიმღერით, სიხარულით, პიონერული საყვირებითა და ყელსახვევებით მივაბიჯებთ ქუჩებში, დემონსტრაციებზე. მოხეივნი ხალხის ზღვა სიხარულს ერთვის ჩვენი ნორჩი გულების ფეთქვა, მოელურტულე ხმები. ნათელი მომავლის იმედი აცისკროვნებს ჩვენს მხიარულ სახეებს.

ეს სიხარული და თავისუფლება, ეს ბედნიერი და ნათელი მომავალი მოპოვებულია ჩვენი მამებისა და დედების, უფროსი ძმებისა და დების წმიდათა წმიდა სისხლით, მათი უანგარო, თავდადებული შრომითა და ვარჯით. ამიტომაც ხუთებზე სწავლა, სამშობლოსათვის თავდადება, ორმა პატრიოტიზმი, — აი რით უნდა ვადავუხადოთ სახელოვან მამაც წინაპრებს, რომლებმაც თავი დადეს ჩვენი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ჩვენ გაშლილი მკერდით, სიმღერითა და მუსიკით მივაბიჯებთ სამაისო დემონსტრაციებზე. თავს დავეფრიალებს დროშების უწყვეტი ტყე. ასე, როდი იყო წინათ, ოქტომბრის რევოლუციამდე. ვინ იცის რამდენი მსხვერპლი შეუწირავს მაისობას წინათ, თავისუფლებისათვის რამდენი მებრძოლი დემონსტრანტის გული გაუგმირავს მეფის პოლიციელთა ტყვიას. მაგრამ ტყვიების წინ არ შემდრკალან ჩვენი მამაცი წინაპრები, რათა დღეს ასე ღალად და თავისუფლად გვეცხოვრა. გვესწავლა და გვემუშავა.

თავისუფლებაზე საუკუნოვანი ოცნება დიდ ლენინთან ერთად განუხორციელა ხალხს დედამიწის ერთ მეექვსედზე გენიალურმა ადამიანმა, ჩვენმა მამამ და მასწავლებელმა მშობლიურმა სტალინმა.

ოქტომბრის მონაპოვრის წართმევას შეეცადა ვერაჟა მტერი — გერმანიის ფაშისმი, როცა იგი 1941 წლის 22 ივნისს თავს დაგვესხა, მაგრამ საბჭოთა ხალხმა ამ ბოროტ ურჩხულთან ოთხწლიან ომში ცხადპო თავისი უძლეველობა. საბჭოთა ხალხმა დაამარცხა მტერი. მრავალ ბრძოლაში თავის მამაც შვილთა წმიდათა წმიდა სისხლით განბანილი წითელი დროშა თავისივე გმირი შვილების — გეორგიისა და ქანთარის ხელით აღმართა ბერლინის თავზე.

ოქტომბრის მონაპოვარი აქაც ბრწყინვალედ დაიცვა საბჭოთა ხალხმა, მისმა უძლეველმა არმიამ, რადგან მათ ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტია, გენიალური მთავარსარდალი დიდი სტალინი.

ამრიგად ჩვენი ქვეყნის პირველმაისობას ოთხი წელია გვერდში უდგას მეორე დიადი დღესასწაული, რომელიც ორი ოქროს სიტყვით გამოიხატება — ცხრა მაისი! გამარჯვება! — ეს სიტყვა ხომ სოციალისტური ქვეყნის სიმბოლოა.

სადაც არის სტალინი, გამარჯვებაც იქ არის.

მაისი ჩვენს ქვეყანაში ბუნებისა და ხალხის დიადი ზეიმია.

დიდება მაისს!

სამშობლოს მაისი

სამშობლო ქვეყნის მთა-ბარში მობრძანდა ჩვენი მაისი,
ვარდის ბუჩქებთან ფრინველთა ყვირილ-ხივილი გაისმის.
უნდათ მამული აყვავდეს და საბუდარი თავისი,
იხარონ დღევანდელი დღით, უფრო ბრწყინვალე გაისით.

ამაზე კარგი სამშობლო მე სხვა აღარა მეგულების,
აყვავებული ველები, მთები—ბაღებით შემკული,
შევყურებ, გული ლაღდება, ვარ მისი შვილი ერთგული,
გაფრენას ლამობს სიმღერა ბაგეზე შეგუბებული.

ეს გამარჯვება დიადი ჩვენ მოგვიტანა მაისმა,
ხალხის ცხოვრება გაფურჩქნა, მტარვალთა გული დაისრა,
და თუ კვლავ მტერი არ დაცხრა, თუ იარაღი აისხა,
მისი ვერაგი ზრახვები ნახავს სიცოცხლის დაისხა.

ჩვენი მაისის შუქია სილამაზე და მშვიდობა,
მთები და მინდორ-ველები, ვარდთა და ხეთა შლილობა;
ვერა დააკლო მომხედურმა, გამართულა ომის ქრილობა;
სამაყთა მარადღამს ჩემი სამშობლოს შვილობა.

უფრო გაბრწყინდი, გალალდი სამშობლოს ტკბილო მაისო,
შენი მთები და ველები მეტი ბარაქით აივსოს,
რომ მულამ გვითხრას ბელოღმა—ეს კი გმირობა არისო,
რომ კაცმა შრომით იბოვოს სახელი სამარადისო.

ანდრო თაყაიკა



მოწვევტილი გარსკეღაღი

ბ. ბარქანიშვილი

ნამღვილი აბაზი

ნახ. ირ. რაზმაძისა

ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნე-
ბისაგან; ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ ეს
წყალობა მას.

ი. ვ. მიჩურინი

1948 წლის ზაფხულია. ცხელა, ასეთი სიტყე დიდხანია არ უგრძენია გურიის მთა-ველს. მიწას წყალო მოეცემა. საფრთხეშია ჭირნახული, უჭირთ მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ამწვა-ნებულ გორაკებსაც.

შუალამემ გადაიარა. კოლმეურნეთა ოჯახებში კი ჯერ არ სძინავთ. საძოვდათი წლის მოხუცი ქალი მარიხე გარედ გამოსულა და ცას შესცქერის. თან რაღაცას ბუტბუტებს. მარინეს შვილიშვილს თამაზსაც არ სძინებია — აივანზე გამოვიდა და ბებიას გაეხმაურა.

— ბებიეო, რას ვასცქერი?
— ცას გავცქერი, ბები გენაცვალოს... წალი დაიძინე.

— შენ რათ არ გძინავს?
— განა მარტო მე არ მიძინავს?... შეხედე, სოლომონ ხელაძის სახლშიც არ სძინავთ, აგერ კირილე ჩხაიძისას... აგერ მიხაკო ორაგველიძის კაბინეტშიაც ანთია სინათლე — არ სძინავს თავმჯდომარესაც.

— კოლმეურნეები თუ არ ისვენებენ, თავმჯდომარეს რალა დასვენებს, იქნებ ვისმეს ელოდებიან?! შენც ელოდები და მე მიმალავ. მითხარი, ბებეკო!

— მეც ველოდები! მოელი სოფელი ელოდება! წვიმას ველოდებით.

— მერე, რომ არ დაიძინოთ, განა წვიმა მოვა?

— შენ ხუმრობ შევილო, წელს კი, როგორც არასოდეს ჩვენს ჭირნახულს წყალი სჭირდება, თორემ შერცხვება სოფელი, შერცხვება ჩვენი კოლმეურნეობა, რადგან გვალვამ თუ დიდხანს გასტანა, ვერ შევძლებთ ჩვენი სიტყვის შესრულებას. ჩვენ ხომ ბელადს სიტყვა მივეციოთ, ვალდებულება ვიკისრეთ. ეს, შენ ჯერ პატარა ხარ და არ იცი მიცემული სიტყვის ფასი.

— რატომ?! — იწყინა თამაზმა. — მე ხომ პიონერი ვარ! ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი სიტყვა საქმეა ჩემი.

— ჰო, შევილო, ბები გენაცვალოს. ჩვენი სიტყვა და საქმე ერთია. ჰო-და გვალვამ უჭრება ჩვენს საქმეს. მართალი ხარ, ჩემო ბიჭეო, ლოდინი საქმეს ვერ უშველის. რაიმე უნდა მოვიფიქროთ. წავიდეოთ... — უთხრა მარინემ შვილიშვილს და სახლში შევიდა. მარინემ თამაზი დააწვინა, თვითონ კი რაღაც მოაგონდა და შუორე ოთახში გავიდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის, მიხეილ ორაგველიძის კაბინეტში მაგიდას უსხდნენ პარტორგი, აგრონომი და-მერგოლორი ელენე ხელაძე. ყველანი უსიტყვოდ შესცქეროდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მიხეილი ქაღალდებს ჩასცქეროდა... ბოლოს თავი ასწია.

— ჩაის მწვანე ფოთოლი გაუხეშდა, —თქვა მან,—მოსავალი იკლებს, ჩვენ კი წელს თუ ჰქეტარზე ოთხი ათასი კილოგრა-

მი ჩაის მწვანე ფოთოლი არ ავიღეთ, შევრ-
ცხვებით. — აქ მერგოლურს გადახედა და
ლაუმატა: — რას იტყვი ელენე?

— რა უნდა ვთქვა, — ფეხზე წამოდგა ტა-
ნთორჩილი ქალიშვილი, — ოთხი ათასი კი-
ლოგრამი ჩაის ფოთოლი ჩემმა რგოლის
წვერებმა უკვე მოკრიფეს, მაგრამ ეს არ
მეკარა. თორმეტი ათასი კილოგრამი უნდა
მოკრიფო, თორმეტი ათასი! — არცერთი
კილოგრამით ნაკლები.

— კარგი სურვილია. მაგრამ ხომ ხედავ
კამ ბრი შვიკრა, უწყლობა კი ცუდად მოქ-
მედებს ჩაის მოსავალზე. იქნებ ავრონოში
დაგვეხმაროს.

— რითაც კი შემძლია, მაგრამ აბა რით! —
უნუგეზოდ გაშალა ხელი ავრონოშმა, —
წუნწუნი უკვე მიიღეს ჩაის ბუჩქებმა,
აზოტოვანი სასუქიც, მაგრამ როგორც
ხედავთ, ეს არ კმარა. წყალია საჭირო. წყა-
ლი კი...

— უკვე გვიანია. დავიშალეთ. ხვალ მე
ანასეულის ინსტიტუტში წავალ. იქნებ მეკ-
ნიერები რითიმე დაგვეხმარონ. — და ფეხზე
წამოდგა.

მაღე ოთხივენი შენობიდან გამოვიდნენ,
უხმოდ გასცილდნენ და ძლინებისაც არ
უსურვეს ერთმანეთს. თუმცა ძილს არცერ-
თი მათგანი არ აპირებდა.

* * *

მთვარის შუქზე განათებული, ჩაის ბუჩ-
ქებით დაფარული გორაკები უცნაურად
ელვარებდნენ. ჩამიწუში არ ისმოდა.
სულგანაბელი შესტყერიან მწვანე ქოჩ-
რიანი ჩაის ბუჩქები ზეცას. წყალი სწყუ-
რიათ. მიდის ჩაფიქრებული ელენე მარ-
ტო, საით? შინ არ ეჩქარება. გზიდან გა-
დაუხვია. თავის ნაკვეთს გადახედა. ამრი-
ვალდინ ჩაის ბუჩქები, თითქოს მხსნელი
დაინახესო, დიას, მხსნელი. ელენე ხომ მა-
თი ძეგლი მეგობარი, მოამაგე და ნაცნობია!
მიდის ელენე ჩაის ბუჩქებს შორის. შრია-
ლებენ მწვანე ქოჩრიანები. ესმის ელენეს
მათი საუბარი, მათი ენა. იცის რაც უნდათ.
მაგრამ აბა რა იღონოს?.. ერთი ჰექტარი
რომ იყოს, ყოველდღე კოკით წყალს მოი-
ტანდა, არ დაიზარებდა, მაგრამ ახლა რა
გააძლებს მოწყურებულ უზარმაზარ მწვანე
სივრცეს! მიდის ელენე და ფიქრობს.
კვლავ გზაზე გამოვიდა. ფიქრებისაგან მა-
მის ძახილმა გამოარკვია.

— შეილო სად ხარ აქამდე? ძილი არ გინ-
და?

— არ მეძინება.

— ვახშამი ხომ უნდა სჭამო? ასე რო-
გორ იქნება? — გაიკვირვა სოლომონმა.

— ახლავ, მამა. თქვენ დაიძინეთ, მე სე-
მე მაქვს.

ელენე თავის ოთახში შევიდა... საჩქარეში
გილას მიუჯდა, ჩანწერიები დასწავლა და
გადმოაღავა. მაგრამ უფრო ფურცლავდა,
ვინემ კითხულობდა...

— ბიძია, სოლომონ! — მოისმა გარედან
ვილიას ხმა.

— ვინ იძახის? — გადმოსძახა ელენემ. —
თამაზი? რა გაიკვირდა, ბიჭო?

— დედა ელენე, ჩემი ბებიკო თქვენთან
ხომ არ არის?

— არა, მე ახლა მოვედი, არ დამხვედრია.

— მაშ სად წავიდა, მეგონა, რომ თქვენ-
სკენ წამოვიდა... სად ვეძებო, რა ვქნა?

— ნუ გეშინია, ბიჭიკო, ბებიაშენი არ
დაიკარგება. ხომ არ გააბრაზე?

ელენე აივანზე გამოვიდა.

— არ გამობრაზებია, მაგრამ... ალბათ მას
ეგონა რამე მე მეძინა. — ნაწყვიტ-ნაწყვე-
ტად ამბობდა შეწოხებული თამაზი.

— ნუ სწუხარი! წაივლი, ერთად ვეძე-
ბოთ... კირილე ჩხაიძისას წავიდოდა?.. იქაც
მივიღეთ...

ელენე და თამაზი მდინარე სევას მიუახ-
ლოვდნენ. ელენე შეჩერდა, მდინარეს დაა-
ქერა.

— რას უტყვობ, დედა?

— აი, ამ დღეს! რამდენი წყალი მიედი-
ნება უსარგებლოდ! ჩაის ბუჩქებს კი წყა-
ლი სწყურიათ.

— მოიცა დედა, ხედავთ, იქ ვილაც
არის!... — თამაზმა მდინარის ნაპირისაკენ
ოთიი გაიშვირა. უკვე გაკვირვებით წამოი-
ძახა: — ბებიაჩემი! ნეტავ რას აკეთებს?



— მოიცა, ახლონ შივიდეთ... არ დაუძახო, არ შეეშინდეს!...

ელენე და თამაზი მარინეს მიუახლოვდნენ. მარინე მათ ვერ ამჩნევდა, დაჩოქილი და ხელაპყრობილი იყო. ძირს, სუფთა თეთრ პირსახოცზე პატარა ხატი დაესვენა და ლოცულობდა. ამ სურათმა ისე ვაიტაცა ელენე, რომ სულგანაბული უსძენდა მარინეს. მარინემ ხატი აიღო და მდინარეში ჩასლო, შემდეგ ისევ ამოიღო, პირსახოცში შეახვია და წაიჩურჩულა: — ღმერთო წვიმა მოგვივლინე, რომ არ შერცხვეს ჩვენი სოფელი...

აქ თამაზმა თავი ვერ შეიკავა და სიცილი წასკდა. შეშინებული მარინე ზეჟე წამოიჭრა.

— არ შეშინდე, ეს ჩვევა ვართ, ბებოცო. შენ გეძებდი...

— ელენეც აქ არის?! ვაი სირცხვილო... გთხოვო არასდ არა სთქვათ. შინ ვერ მოვივლიყვები.

— მერე აქ რას აკეთებდი, ბებოცო?

— თქვენ არ გწამთ, ძველად კი ასე ვიცოდით. გველვის დროს ხატს ებანდით და ვევედრებოდით უფალს, რათა ჩვენთვის წვიმა გამოეგზავნა... და აი, ახლა — ამ საშინელი გველვის დროს ეს გავიხსენე.

— მერე, ღმერთი წვიმა გიგზავნიდათ? — ჰკითხა ელენემ.

— მე რაც მახსოვს არა, მაგრამ მღვდლები ამბობდნენ, უწინ აგზავნიდაო.

ელენეს გაეცინა.

— არა, რაც არ არსებობს, კეთილი მოხუცი, ის ხალხს სიკეთეს როგორ გამოუგზავნის! ჩემო მარინე, ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი ბუღისა და ცხოველების მძეველნი. ახლა, სანამ შენ დაგინახავდი, ამ მიონარემ ერთი აზრი დაამბოდა, კარგი აზრი... პო და, აი ნახე, ხვალეე თუ არ მოვიყვანო წვიმა.

მარინემ ვაკვირებით გადახედა. აღბათ ხუმრობსო, გაიფიქრა. ისინი მალე გამობრუნდნენ. თამაზი და ბებია მარინე შინისაკენ წავიდნენ. ხოლო ელენე კოლმეურნიების თამაჯლომარისაკენ გაეშურა.

ელენეს ჰიშვართან დამახება არ დასჭირვებია. მიხაკო აივანზე იდგა და მიდამოს გასცქეროდა. შეამჩნია თუ არა ელენე, მიიძახა:

— რა მოგვლია?

— გამოსავალი ვიპოვე... გვალვა საშიშო აღარ იქნება...

— შინ შემოდი, დალაგებით მითხარო.

მიხაკო და ელენე სახლში შევიდნენ. ელენემ სულ მოითქვა და მიუთხრო თავისი ნაფიქრი.

— კარგი აზრია, — ესიამოვნა მიხაკოს. — ეხე იგი სეთადან მიღებით ამოვქაჩოთ წყალი და მოვრწყვათ ნაკვეთები? მე მხარს ვიჭერ... ხვალეე შეივლდეთ საქმეს.

მეორე დღესვე შესდგა კოლმეურნიება. ეს იყო ერთი კრება, სადაც ერთხმად იქნა მიღებული ელენე ხელაძის წინადადება. მხარისმც მხარი დაუჭირა ელენეს ინიციატივას. სასწრაფოდ გადმოზიდეს მანქანებით მიწები და საჭირო მასალები.

ელენეს რგოლის წვერები დღედაღამე მუშაობდნენ, მუშაობდა მოხუცი მარინეც, თამაზიც და რამდენიმე დღის შემდეგ მორწყვის გამზარა მიწა. გაიხარა ჩაის ბუჩქმა და აბინდნენ ნორჩი ფოთლები.

ელენემ და მისმა რგოლმა ბელადისადმი მიცემული პირობა შეასრულეს. ხელმძღვანელმა ამხანაგებმა მოაწონეს სოციალისტური შრომის გმირის ელენე ხელაძის ინიციატივა და მიუთითეს კოლმეურნიებებს, რათა ხელაძის მეთოდით მორწყვის წესი გამოიყენონ.

1949 წლის აპრილის თბილი დამევა. სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნიებს, დილური შრომითი კმაყოფილთ, მშვილად ეძინათ. არ ეძინა მარინეს, არ უნდოდა ძილი.

— ბები, არ გეძინება? — გამოძახა ოთახიდან თამაზმა და გარედ გამოვიდა.

— ეხლავე, ბები გენაცვალოს, ეხლავე მოვალ. ხელაჯ ციდან ვარსკვლავს მოსწყდა...

— მოსწყდა და დაიკარგა!

— არა, ბები გენაცვალოს, ეს უწინ იკარგებოდა. ახლა არა. ახლა მშრომელები სწყვეტენ ვარსკვლავებს, მკერდზე უბრწყინებთ. ხომ გინახავს ელენესა და მიხაკოს სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავები როგორ უელვარებთ მკერდზე.

თამაზს მოეწონა ბებიას ნათქვამი და ვარსკვლავებივით გაბრწყინებული თვალებით გაუცინა.





გალია კთხოვნიკო

ნიკოლოზ ლეჟა

ცივი ღამეა, იანერის ქარი
დაჭკრის ქუჩეშა როგორც შურდული,
ჩაკეტილია ხალხი სახლებში,
ყოველ ეზო-კარს ადევს ურდული.
სანაგვე ყუთთან, ერთ-ერთ ეზოში,
ისმის ოდნავად ჩუმი ჩურჩული,
და ფეხაკრეფით მათ ეპარება
პოლიციელი—ღაპის უჩახული.

და უცებ უშეკრთა ორი პატარა,
შუქზე შეირხა მათი ჩრდილები,—
როცა ეძებდნენ პურის ნამცეცხვს
ყუთში საბრალო ქალიშვილები—
რისხვად დაატყდა თავზე გოგონებს
პოლიციელის ხმა საშინელი...
ორივე შეიპყრო, წინ გაირეკა,
გააფრიალა ქარში შინელი.

ფეხშიშველ ბავშვებს მიერეკება,
სცემს და ერთობა, თანაც იციანის,
თუ ამერიკელს სადმე შეხვდება,
იცის ძალღუთვი კულის ქიციანი,
რომ ახალ ბატონს ასიამოვნოს,
ახვიზინდება იგი კვიცივით.
იგიც ხომ ფლიდი გერმანელია,
საქმით ავი და გრძნობით გულცივი.

შედგა ქუჩაში, მშვიერ, გოგონას
კენჭი. ჩაუდო პირში ვით პური.
როცა რუს ბავშვებს ის აწამებდა,
მეტად ტყებოდა მისი ქვის გული.
უცებ ორივე ბოძზე მიაკრა,
იქვე დასტოვა ზურგით მიკრული.

სცივა გალიას, სცივა ვარისა,
ვერ იფარავენ ტანს ნაფლეთებით.
რომ ახსნას ვინმემ, ელოდებიან
ქუჩაში გამვლელს თვალდაფეთებით.
ცივა... მოეონავს ჩვილ თითებიდან
ბალღამნარევი სისხლის წვეთები,
თავი ჩაკიდეს, მორთეს ტირილი
განწირულების სულსიკვეთებით.

უკრაინიდან მათი მშობლები
ტყვედ წაიყვანეს გერმანიაში,
სულ პატარები იყვნენ ისინი,
წამოიჩინებენ ომის გრიალში.
მტრებმა მშობლებში მტერი შენიშნეს,
ჩუმად აწამეს ღამის წყევლიადში,
თერამეტ დღეს პური აღარ აჭაპეს,
შემდეგ დაახრჩვეს საღდაც ტყიანში.

ომი დამთავრდა, მაგრამ ქალაქი
ამერიკელთა ზონაში მოყვა.
ისევ ტყვედ დარჩნენ რუსი ბავშვები,
შია გალიას და კენჭებს ლოკავს,

არ ენაღვლებათ ამერიკელებს,
არ აფუწვებათ სირცხვილით ლოყა,—
რაა, გოგონებს პური აჭამონ,
პური ხომ იქაც მშრომელებს მოჰყავთ!

გავიდა ხანი... მინღვდა ქარი,
ისევ გათენდა დილა იანვრის,
გალეოს მკერდზე, ვარის თმებზე
ისევ თამაშობს ცივი ნიავი.
—ნუთუ მომკვდარან ბოძზე მიკრულნი!
სინჯავს უცნობი ადამიანი,—
ვილაც მუშაა ის გულკეთილი,
ბავშვებს დასტირის თვალცრემლიანი.

ამოიხრა თითქოს გალიამ,
მუშას მოეცნა სუნთქვა ოდნავი,
მწველელს უხმობდა გაწამებული,
ისმონდა ოხვრა გულდასაქოდავი.
კეთილმა მუშამ შინ წაიყვანა,
რომ მოერჩინა იქ საცოდავი.

ცოტა ხნის შემდეგ გონზემოსული
გალია ჩემად ეძახის ვარას,
მგრძნობიერ გულით მიხვდება მუშა
პატარა ქალის ნაღველს და ვარას.
რომ გაუფანტოს მწარე ფიჭვები,
მეგობრის სიკვდილს მას დაუფარავს;
კაცის გული აქვს და ეცოდება,
უვლის წზრუწველი მშობელის გვარად.

გრძნობით დახედა მუშამ გალიას
და მიაწოდა პურის ნაჭერი,
შვილივით უყვარს, უნდა იშვილოს,
მაგრამ თავიდან არ აქვს საკმელი,
დღეს უმუშევარს, ხალათდახეულს
გაფიცვისათვის ხშირად დაჰკრილს,
იმდენი ფული ვეღარ ეშოვა,
რომ გაეპარსა დროზე თმა-წვერი.

და რა ჰქნას მუშამ! ვასაპირშია,
პურიც რომ ჰქონდეს, ცუდი სახლი აქვს...
მწარე ფიჭვებით დაღონებულმა
ერთ დღეს გალია ჩრებში გახვია
და წაიყვანა თავშესაფარში,
სადაც მისთვისაც უცხო ხალხია,
სად იატაკზე ბერ-მონაზვნები
ლოცვა-ვედრებით თავებს ახლიან.

ბერ-მონაზვნების ლოცვა უკვირდა,
სულ ერთ ადგილას იწვა გალია.

იმ ღამის შემდეგ ფეხებს ვერ ძრავდა,
იწებ სიკუტე უინის ბრაღია!
პირი უშრება, წყალი ითხოვა,
სულ სამიოდე წვეთი დალია,—
უძინარს ძილი არ ეკიდება,
შემინებული და შემეკრთალია.

ერთ წუნარ საღამოს კეთილმა მუშამ,
აწ გალიას, და ჩვენმა ნაცნობმა,
პატარა ქალის გადასარჩენად
გამოიჩინა კარგი კაცობა—
ტანჯულ გალიას მძიმე ცხოვრება
საბჭოთა ჯარის ნაწილს აცნობა.

ერთ დღეს უეცრად ზრდილმა რუსებმა
გახსნეს მონასტრის ცივი საკანი,
შეკრთნენ ბერები, წითელ ქუდებზე
აკვირდებიან რუსებს კანკალით;
არ მოელოდნენ, რომ წაიყვანდნენ
ჩვენს რუს გოგონას ხელში აყვანილს.

ემშობლიურა კაცი გალიას,
რომ მოფეგრა ტკბილი რუსულით,—
აჰა, შემოყავთ იგი ბერლინში,
მოჭკრის მანქანა როგორც შურდული.
იმ შენობის წინ შედგა ნანქანა,
სადაც რუსული ჰანგი წრიალებს,
შევიდნენ სახლში, სახლის კარებზე
ჩვენი წითელი დროშა ფრიალებს:
ჰოსპიტალია, იგი ეყუთენილს
იქ მყოფ საბჭოთა ადამიანებს.

იქ დააწვინეს ჩვენი გალია
და მკურნალები თავს ეხვევიან,
გუშინწინ ფეხი რომ გაუკვეთეს,
გოგონას წარბიც არ შერხვეია.
ბერლინში მყოფი პიონერები
მასთან მიდიან, თავს ევლებიან,
მიდიან მასთან, ასაჩუქრებენ,
კოცნიან მკერდში ეხუტებიან.
— მალე მოიჩება! — რომ გაიგონეს,
ბედნიერებით უფრო ტკებიან.

დღეს ჩვენი ქვეყნის პიონერები
მის აქ ჩამოსვლას რომ იჩქარებენ,
მის შესახებდრად მომზადებული
ბევრი რამ კარგი საჩუქარი აქვთ.
მას მოსკოვშიაც ელოდებიან,
მის მოლოდინში ყველგან არიან,
საქართველოშიც ვეპატივებით,
რომ სიხარულით შევხვდეთ გალიას.

ბაკში

ლკრანში ჟიჟინამი

მთხრობა

შეგებულებას ყოველთვის შემოდგომით ეკლდება. უკანასკნელი შეგებულება შემოდგომაზე მქონდა. თბილისში დაერჩი. ხშირად ბოტანიკურ ბაღში დავდიოდი, თან წიგნი მიმქონდა, ვკითხულობდი.

ერთ დღეს ჩემს მახლობელ ბაღში გავიყურებოდი. შუადღე იქნებოდა. შემოდგომის მყუდრო, თბილი და მეტად საამური დღე იდგა. მზეში სიარული უკვე სასიამოვნო იყო. ლამაზმა ხეივანმა ბაღის ერთი კილიდან მეორე კიდეზე გამოვიყვანა. შეჩერდით, დავეყრდნე ჩემს თაყაიანი ჭრელ ჯოხს. დიდხანს ვიდექი. დიდხანს, დაყურებდი მტკვარს, მის ლამაზ სანაპიროს. შემდეგ ბაღის სხვა ხეივანს ამოვეყვი. შუა ბაღში ერთერთ გრძელ მწვანე სასურგაინ სკამზე ჩამოჯექი. თვალს ვავლებდი ბაღში დასასვენებლად შემოსულ დღესსა და პაჭარას.

უკრებ ბავშვების ყოიანი შემომიქსმა. მთელი ჩემი ყურადღება მათ მიიპყრეს.

— აი, აქ არის, აქ... — ამბობდა ერთი.

— ჩვენმა მასწავლებელმა სხვა ბაღზე გვიტანა. — ეკამათებდა მეორე.

— არაფერიც. მე დაგიმტკიცებ, რომ იმ მწვრთლის საფლავი ამ ბაღში არის... — მაინც დაყინებით ლაპარაკობდა პირველი.

ათიოდე მოსწავლემ ჩემს წინ ჩაჩაჩა ჩაიარა. ბლიკზე მოყრილი აგურის ფხენილისაგან წითელი კორიანტელი ააყენეს. ვერც კი შეშინდნენ. მე კი თვლი ვეღარ მითამოვრებოდა. მიტევი. ალბათ დანიელ ჭონქაძეზე ლაპარაკობენ-მეთქი. მეც დაინტერესდი. გაუყვი ბავშვებს. კამათს ეღალა აგრილობდნენ. ვაჯირდებოდათ ყველა მათიგანს სულ ერთნაირი ტანისამოსი ეცაოთ. ნაცრისფერი. იმავე ფერის თეთრკანკებიანი ჭილები ეხურათ. მე მათ არც გაუყვიბოდი, რომ ერთერთ მათგანს განსაკუთრებით არ მიქეცია ჩემი ყურადღება.

ის ბიჭი თარის ამხანაგებზე უფრო მოუსიკინარი იყო. ხან ერთთან მიგარდებოდა. ხან მეორესთან. ზოგა ზურგზე ასტებოდა. თეთრკანკებიანი ჭილი ეკვდა მთელი. თმები წინ ჩამოსწყწოდა. უკუღმა შემოარტყმულ ჭამრის ბალახზე ეღარც ვაივებ მიქეცის თუ მიქეცზე სკოლაში სწავლობდა. წიგნების ჩანთისათვის ყურში გრძელი წყრილი

თოკი ჰქონდა ჩამშული და მხარზე ვადაეკოდებია. ჩანთა წვივებზე სცემდა. მაღე ნახეს რასაც ექებდნენ. შემობრუნდნენ და წინ შემომხედნენ. წინ რომ ჩამოვუღდექი, მხოლოდ მამინ დამინახეს, შემატყეს მათთან ლაპარაკი მსურდა. გაჩერდნენ. უცებ ყიყინი შეწყვიტეს, ირგლივ შემომხევივნენ. ყველაზე წინ ის ბიჭი წამოღდა, რომელმაც მე დამაინტერესა. მისი სიმკვირცხულ და მოუსიკინარი თვალები ბიჭის დაუღრმომელ ბუნებაზე მეტყველებდნენ. პირველად ყველაზე თამამად გამოიყურებოდა, ხოლო როცა სახელი ვკითხე, — შეკრთა, თითქოს მიხვდა რატომ ვკითხე სახელი. რაღაც უხერხულობა იგრძნო. გაწითლოდა. შეიშფოშნა. თარი მოარიადა პასუხს. ეგონა მოვეშვებოდი, მაგრამ კვლავ შევეკითხე:

— პო, აბა, მითხარ, რა გქვია?

მე ხომ მას აღარ ვაშორიბდი თვალს, მაგრამ ამხანაგებმაც ისე დაუწყეს ცქერა, თითქოს იმითაი პირველად დაინახეს.

ყმაწვილმა პასუხისაგან ჯერ თავი შეიკავა. ბოლოს კი ხმადაბლა წარმოსთქვა:

— მალხაზო.

მე გავიღმიე, მიუჯახლოვი, მხარზე ხელი დავადე და ეუთხარო.

— რა კარგი სახელი გაქვს, მაგრამ მალხაზო იგივე რომ არ გამოიყურები? აი, ყველას ერთი ფორმის ტანისამოსი გაცვიათ, მაგრამ შენ მაინც ყველასაგან გამოირჩევი. ასე თვალ-ტანაიტი ბიჭი ძალიან ცუდად ჩანხარ.

— ეღალაპარაკებოდი მალხაზს თა ყველანი სმენად იყენენ გადაქცულნი. მერე შევეკითხე:

— შენ რომ ამ წუთში ასეთი ხარ, ვინ არის ამში დამნაშავე?

მალხაზმა თავი ჩალუნა. არ აპირებდა პასუხის თქმას.

— მალხაზის დაუღრმობა! — ჩუმად, ხმადაბლა წარმოსთქვა ერთმა მოსწავლიემ. თითქოს არც სურდა ჩემთვის რომ ვაუგონებინა. მაგრამ ჩემს ყურს არ ასცდა ეს სიტყვები.

— სწორად მეც ის უნდა მეთქვა, რაც ამ ყმაწვილმა წაიჩორჩყოლა. — ეუთხარი მალხაზს. — მალხაზ, ხომ გაგიგონია, როცა რომელიმე მოსწავლისათვის მისი უხეშობის გამო



ასე მიუმაართავთ: რომელ სკოლაში სწავლობ, რას გასწავლიან შენი მასწავლებლები?

მალხაზს სირცხვილის აღმური მოეკიდა. •

— მე შემიძლია ვთქვა: არ გამოიგონია მეთქი, მაგრამ ამ წუთებს სადღა გავემკვი-
ვი?!

თავჩაღუნულმა ბიჭმა ქული გაისწორა, ჩანთაზე თოკი მოხსნა და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა.

— ახლა ხომ თქვენი სიტყვები სწორედ მე შემეხება?

მომეწონა მალხაზის პასუხი. ხანგრძლივი საუბრით ისინი აღარ დაეპოვნენ. წასვლი-

სას ყველანი ერთნაირად მემშვიდობებოდნენ:

— ნახვამდის, ძია, ნახვამდის!

ყველაზე ბოლოს დარჩა მალხაზი, უნდოდა გამოემშვიდობებოდა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა სიტყვის სათქმელად. ბოლოს ისევ მე წაეთათამე, ხელი გავუწოდე და ვუთხარი:

— მალხაზ, მშვიდობით!

— მშვიდობით, ძია! — დაბალი ხმით, დამორცხვებულად მითხრა მალხაზმა და ამხანაგებს გააყვა. ჩაფიქრებული იყო, მათთანაც რაღაც მორიდებულად მიდიოდა. მე ვატყობდი, თუ როგორ სწუხნდა იგი მშობლიური სკოლის სახელი რომ შელახა.



ყ ა ვ ა რ ჯ ნ ი ა ნ ი

უთხრეს, რომ დედა ჯავრმა წაიღო,
გული გადნაო სიტბოს მთოველი,
იგი მოკვდაო, მაგრამ რა იყო,
წაუქცეველი დაგზვდა ყოველი.

გულცეცხლიანი დარდს ვერ მალავდა
და ტანში მძიმედ გააჟრიალა,
რომ ორივე მუხლი დედის საფლავთან
ვერ მოაყარა ყავარჯნიანმა...

ვახტანგ გოგოლაშვილი

ქუთაისის რკინიგზის № 20 საშულო
სკოლის მოსწავლე

ჩვენს ქვეყანა რადიოს სამშობლოა

რადიოს დიდ ჩვენს ქვეყანაში გამოცხადებულა ყოველწლიურად 7 მაისი. ორმოცდაათობმეტი წლის წინათ — 1895 წლის 7 მაისს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკოს-ქიმიკოსთა საზოგადოების სხდომაზე ალექსანდრე სტეფანესძე პოპოვმა მოახდინა მის მიერ გაკეთებული, მსოფლიოში პირველი რადიომიმღების დემონსტრაცია. იგი ჯერ მხოლოდ სიგნალებს იძლეოდა, ხოლო ერთ წელზე ნაკლები ხნის შემდეგ პოპოვის მიერ გადაცემული იყო პირველი რადიოგრამა 250 მეტრის მანძილზე — უნივერსიტეტის ერთი შენობიდან მეორეზე, რადიოგრამის მთელი შინაარსი შესდგებოდა ორი სიტყვისაგან: „ჰენრიხ ჰერცი“ (ეს იყო მეცნიერი — აღმომჩენი რადიოტალღებისა, რომელიც საუბრეებად დაიღო რადიოს გამოგონების).

ამ წარმატებული ნაბიჯის შემდეგ, რომელიც მთელ რევოლუციას ახდენდა ტექნიკაში, დიდ შეტენიერსა და გამოგონებელს ა. ს. პოპოვის ერთი წუთით არ შეუწყველებია მუშაობა თავისი გამოგონების შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

1898 წლის ზამთარში კუნძულ ვოგლანდთან წყალქვეშა ქვებზე გაიხზრა ბალტიის ფლოტის ჯავშნოსანში „გენერალ-ადმირალი პრაჰსინი“, ა. ს. პოპოვმა სიხარულით მიიღო წინადადება ჯავშნოსანის გადასარჩენად კუნძულ ვოგლანდსა და ნავსადგურ კოტკას (ფინეთის სანაპირო) შორის რადიოკავშირის მოწყობის შესახებ. მალე ამუშავდა ორი რადიოსადგური — ერთი პოპოვისა, მეორე კი მისი თანაშემწის — რიბკინისა. რადიოკავშირი არ შეწყვეტილა, ვიდრე ჯავშნოსანი არ მოხსნეს ქვებიდან. ამ ხნის განმავლობაში პოპოვის რადიოსადგურებმა გადასცეს და მიიღეს ასობით რადიოგრამები, ეს იყო მსოფლიოში პირველი რადიოხმაზი. იგი განხორციელდა 43 კილომეტრის მანძილზე, ამ თაქტმა პოპოვს საშუალოდ დაუმკვიდრა სახელი და ავტორიტეტი. მისი გენიალური გამოგონება ბრწყინვალედ გამოყენებულ იქნა პრაქტიკაში. აღმირალმა მკარავებმა მშინ

მიულოცა ა. ს. პოპოვს შესანიშნავი მეცნიერული გამარჯვება და კრონშატდის მეზღვეურთა სახელით გულითადი მიძღობა გადაუხადა.

მიუხედავად ამ დიდი წარმატებისა, პოპოვის გამოგონებას არად ავლდებდნენ ჩლუნგი შეფის ბრყივი მოხელეები. მაშინდელმა საზღვაო მინისტრმა უარი უთხრა დიდ მეცნიერს თხოვნაზე — ცდების ჩასატარებლად გაეკათათათსი მანეთი.

შემდგომმა თაობამ დიდად დააფასა დიდი რუსი მეცნიერისა და პატრიოტის ა. ს. პოპოვის ღვაწლი. მისი გენიალური გამოგონება საბჭოთა მეცნიერებმა კიდევ უფრო გაამდიდრეს, გააუმჯობესეს და სრულსყვეს.

საბჭოთა რადიოტექნიკის უდიდესი წარმატებანი დაკავშირებულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახელებთან.

ლენინი ოცნებობდა იმ დროზე, როცა მთელი რუსეთი ერთდროულად მოუხსმენს გაზეთს, რომელსაც მოსკოვში კითხულობენ. დიდი ხანია ეს ოცნება განხორციელებულია. ლენინის ინიციატრვით მოეწყოა ჩვენს ქვეყანაში პირველი რადიოგადაცემითა სადგურები. განვითარების უმაღლეს წერტილს კი საბჭოთა რადიოტექნიკამ და რადიოკავშირმა მიაღწია სტალინური ხუთწლეულების მანძილზე.

ღვის მთელი ჩვენი დიდი სამშობლო უსმენს მოსკოვს. რადიოთი გლახარაკებიან დედაქალაქს შორეული რეისის ზომალღები და ჩადაფრენილი პოპოლეტრები. რადიოს საშუალებით ჰყოლობენ სიბნელებში მთრინავ თვითმფრინავებს და სქელ ნისლში მცურავ გემებს.

უყვართ რადიოსაქმე ჩვენი ქვეყნის ბელნიერ მაყვეებს. ნორჩი რადიომოყვაროლები წარმატებით მუშაობენ და ხელს უწყობენ თავიანთი სოფლებისა და ქალაქების, თავიანთი სკოლების რადიოფიკაციას.

დიდი წინარის ა. ს. პოპოვის მეცნიერობას იყოფილა რადიოს სამშობლო ქვეყნის ბელნიერი ნორჩი თაობა.

ლ. პარლსანიძე



ოთხი სურათი ერთ წელიწადში, ომსა და სხვა სახე ქართველი ქალისა! წმინდა მამად მიიზიდა და დაიპყრო მაყურებელი, მისი სახელი უცნობად გახდა პოპულარული და საყვარელი. მან დაგვანახა ქართველი ქალის გმირული სული, კეთილშობილება და კდემამოსილება ახალგაზრდა მსახიობი ხიზლავა და ყველას თავისი სიწმინდით და გულწრფელობით, რასაც ის ყოველთვის უშუალოებით და დიდი უბრალოებით გამოხატავდა.

ნატო ვაჩნაძეს ეკრანზე მულამ ახასიათებდა შემოქმედებითი თავისებურება. მის მიერ განსახიერებელი თითოეული სახე აქეთილშობილებდა, ამოღებდა აღამიანს და გმირულ მოქმედებისაკენ მოუწოდებდა.

ვინც ცხოვრებაში ახლო იცნობს ნატოს, მან იცის თუ რა მძალი ზნეობრივი თვისებანი ახასიათებენ მას როგორც მსახიობს და აღამიანს: პასუხისმგებლობა თავისი მოვალეობის წინაშე, კოლექტივის გრძნობა, გულსისხიერი დამოკიდებულება ამხანაგებისადმი და გულწრფელი მეგობრობა.

ნატო ვაჩნაძე ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა. დედა—ნიჭიერი მუსიკოსი იყო. მამა—კავალერიის ოფიცერი, რომლის ბრწყინვალედ დაწყებული სამხედრო კარიერა ადრევე შეწყდა; კავკასიონის ერთ ხეივანის მოპყლა ჩასაფრებულმა ლეგენდარულმა ზეილიმ-ხანმა. კარგ ცხოვრებაში მყოფი ოჯახი ამის შემდეგ გაძირგებაში ჩაიარდა. თითონ პატარა ნატო იძულებული გახდა კოლონიების ქარხანაში წასულიყო უბრალო მუშად. მან ცხოვრების მძიმე სკოლა გაიარა. მაგრამ საბოლოოდ ყველა განვილიომა გასაჭირმა სარგებლობაც მოუტანა: ნატომ ახლო გაიკინო მშრომელი ხალხის ცხოვრება. შიითვისა მისი საოკეთესო მხარეები. რაც შიმშილში მყოფი შთაბრუნებას აძლევდა მსახიობს შეიშოქმედებაში.

ნატო ვაჩნაძე, როგორც მსახიობი ოა მოქალაქე. თიდი სტალინის ეპოქაში ათიზარდა. ის სავსებით ამ დროს ეკუთვნის. პარტიისა და ხელოვნულობის ზარონჯამ გამოიყენა ის დიდ გზაზე და მის ნიქს თართო სარბიელი მისცა.

ნატომ პაკიონანდა უბასუხა ხალხის სიყვარულს.—მან ბეგრე რამე გააკეთა მშობლიური კინო-ხელოვნების განმტკიცებისათვის და კიდევ ბევრს უნდა მოელოდეთ მისგან.

საგო კლიაშვილი




ხალხის საყვარელი მსახიობი

25 წლის მოღვაწეობის გამო

ნატო ვაჩნაძის სახელი სამუდამოდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის და კერძოდ ქართველთა კინო-ხელოვნების ისტორიასთან, მის დასაწყისთან და განვითარებასთან.

ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა და გამოუცდელი, რომლისთვისაც სრულიად უცნობი იყო ეკრანი და არტისტული ხელოვნების საიდუმლოებანი, მოვიდა ნატო კინოში. მან თან მოიტანა კახეთის სოფლის და გულბრყვილო გოგონას სიწმინდე და მდიდარი სული, რომლის გარეგანი გამოხატულება მისი მშვენიერი და განუმეორებელი სახეა.

პირველ წელიწადშივე, 1923 წელს, თბილისის კინო-წარმოებამ განახორციელა ოთხი სურათის დაღება, რომელშიც ნატო მთავარ როლებს ასრულებდა. ეს სურათები იყო: „ყაჩაღი არსენა“, „მამის მკვლელი“, „სამი სიცოცხლე“ და „ტარიელ მკლავაძე“.



გმირი ქალაქები ღვს

ო რ ე ს ა

ხუთი წლის წინათ, 1944 წლის 10 აპრილს, საბჭოთა არმიის ნაწილებმა მთლიანად გაათავისუფლეს ქალაქი ოდესა გერმანულ-ფაშისტ ავაზაყებისაგან. გმირი ქალაქის განთავისუფლების პირველი დღეებიდან ოდესის მშრომელები შეუდგნენ ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას, დანგრეული ქალაქის აღდგენას. ახლა ოდესა თითქმის მთლიანად აღდგენილია. მწყობრში ჩადგნენ და ომამდელ სიმღავერის აკარბენ დანგრეული ქარხნები და ფაბრიკები, სამრეწველო საწარმოები. ომის შემდეგ ოდესას შეემატნენ ახალი საწარმოები—კიროვის სახელობის დაზგათმენებელი და რადიალურ-საბურღო დაზგების ქარხნები.

ავტომაკრებმა ქარხანამ ჯერ კიდევ 1946 წელს დაიწყო პროდუქციის გამოშვება, მწყობრში ჩადგნენ ახლად შექმნილი საწარმოები — ვიტამინისა და წვენი ქარხნები. ოდესის მრავალმა საწარმომ 1948 წელს უკვე გადააჭარბა პროდუქციის გამოშვების ომამდელ დონეს.

ამაყად გამოიყურება ახლა მთლიანად აღდგენილი ოდესის ნავსადგური, სადაც ამწეების რაოდენობა 2,5-ჯერ აღემატება ომამდელს; ნავსადგურის ტვირთბიდა 1940 წლის დონეს 10-ჯერ სჭარბობს. ნავსადგურის უმნიშვნელოვანესი ჰიდროტექნიკური ნაგებობა — ტალღამსხლეტი, რომელიც თა-

ვის დროზე 8 წლის განმავლობაში შენდებოდა, ოდესელთა გმირული, თავდადებული შრომით 5 თვეში იქნა აღდგენილი. ნავსადგურმა უკვე დიდი ხანია გადააჭარბა ტვირთბრუნვის ომამდელ დონეს.

გადაეცა ექსპლოატაციაში ქალაქ ოდესის ავტომატური სატელეფონო სადგური. მთლიანად აღდგენილია ოდესის სარკინოზო კვანძი. ომისშემდგომ წლებში აღდგენილია 300-მდე მარტო სახელმწიფო მნიშვნელობის სამრეწველო საწარმო. მთლიანად აღდგენილია ქალაქის ტრანსპორტი, ამუშავდა ტროლეიბუსის ხაზი. საექსპლოატაციოდ გადაეცა დანგრეული საცხოვრებელი ბინების 70 პროცენტი, აღდგენილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ომამდელი ქსელი. ოდესაში 17 უმაღლესი სასწავლებელი და 32 ტექნიკუმი, რომლებშიც 30 ათასი სტუდენტი სწავლობს.

აღდგენილია ისტორიული და მხარეთმცოდნეობის მუზეუმები. გაიხსნა „დიდი სამამულო ომის წლებში ოდესის გმირული დაცვის მუზეუმი“.

დიდი პერსპექტივებია გადაშლილი გმირი ქალაქის წინაშე ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლეულში. ოდესის მრეწველობა ხუთწლეულის ბოლოს ორჯერ მეტ პროდუქციას გამოშვებს ომამდელთან შედარებით. ოქტომ-

ზრის რევოლუციის სახელობის ქარხანა წე-
ლიწადში ჩვენი სოფლის მეურნეობას ათეულ
ათასზე მეტ ტრაქტორის გუთანს მისცემს.
ქარხანა „კრასნაია გვარდიას“ სიმძლავრე
ოთხჯერ გადააჭარბებს ომამდელს, ახლერ
მარტის სახელობის ქარხანისა — 2,5-ჯერ.
მწებობაში შვეა ოდესის თბილექტროცენტ-
რალი. ოდესის ნავსადგურის ტვირთბრუნვა
გაორჯევდება. დაგეგმილია ოდესის ახალი
სადგურის მშენებლობა.

მშენიერი და წარმატვი იქნება ოდესა
ხელსუღედის ბოლოს, მაგრამ კიდევ უფრო
უკეთეს სახეს მიიღებს იგი 15-20 წლის შემ-
დეგ, ახალი ოდესის გენერალური გეგმის
პროექტით ქალაქის ცენტრი მოთავსდება
რკინიგზის სადგურისა და კულთიკოვის ველის
მთავარი მოედნის გასწვრივ.

გენერალური გეგმის მიხედვით ქალაქის
გამწებების მთავარ ღერძს სამხრეთ-დასავლეთ-
ში წარმოადგენს. კულოვოის ველიდან ოტ-
რადის მიმართულებით, ზღვის სანაპიროსკენ
მოწყობა მთავარი ხეივანი. ზღვის მთელი
სანაპირო ლახერონიდან არკადიამდე უმშვე-
ნიერეს ბალ-პარკად იქცევა. გათვალისწინე-
ბულია აიგოს გრანდიოზული ხიდი, რომელიც
შეაერთებს დერიბასისა და კანატიეს ქუჩებს.
დიდი რეკონსტრუქცია მოელის სასადგურს ნავ-
სადგურს, რომელთანაც კავშირი უზრუნველ-
ყოფილი იქნება ულიანდგო მიმოსვლით.

ოდესა, რომელიც ისედაც განთქმულია თა-
ვისი ხეივანებით, პარკებით, მთლიანად მწვა-
ნე სამოსელით მოირთვება. სარკინიგზო სად-
გური აიგება სამხრეთ-დასავლეთ რაიონში,
ამჟამად არსებული სადგურიდან 1,2 კილო-
მეტრის დაშორებით.

ქალაქის რეკონსტრუქცია ისეა გათვალის-
წინებული, რომ მთლიანად დაკული იქნეს
ისტორიული ძეგლები. ოდესაში ახლა ვერ
შეხვდებით ადამიანს, რომელიც არ სუნთქავ-
დეს თავისი მშობლიური ქალაქის აყვავების
ოცნებით, რაც დღითი დღე სინამდვილედ
იქცევა. გმირი ქალაქის მშრომელები ძალასა
და ენერგიას არ ზოგავენ ამისათვის. ოდესის

განახლების საქმეში მთელ მშრომელებთან
ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა
ახალგაზრდობას, კომკავშირელებს, კომკავშირელებს
საბჭოთა მთავრობამ საკავშირო აღკვეთა
წლისათვის დაკავშირებით კომკავშირის
ოდესის საქალაქო ორგანიზაცია დიდი სამა-
მულო ომის წლებში გმირობისა და სოცია-
ლისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწი-
ლეობითაათვის დაჯილდოვა წითელი დრო-
შის ორდენით. ახლა გმირი ქალაქის კომკავ-
შირული ორგანიზაციის წითელ დროშაზე
მთავრობის ძალაოა ჯილდოს — წითელი
დროშის ორდენის გამოსახულებაა.

კომკავშირის ოდესის საქალაქო ორგანიზა-
ციამ დიდი სამამულო ომის წლებში ცხად-
ჰყო, რომ იგი პარტიული ორგანიზაციის
ერთგული თანაშემწეა. გმირი ქალაქის ცხოვ-
რებაში არ არსებობს ისეთი უბანი, სადაც
კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას არ
ღებულანდებენ.

კომკავშირელთა უანგარო სიყვარული და
ერთგულება მშობლიური ქალაქისადმი, სა-
ნაშობლოსადმი განსაკუთრებული სიძლიერით
გამოვლინდა ოდესის გმირული დაცვის
დღეებში.

ოდესის კომკავშირელები, ახალგაზრდები
თავდადებით შრომობენ, დღითი დღე ამრავ-
ლებენ მშობლიური ქალაქის დიდებას.

მთელ ჩვენს სამშობლოსთან ერთად მშვი-
დად ცხოვრობს და გმირულად შრომობს ომ-
გადახდილი ოდესა—გმირი ქალაქი.

გმირი ქალაქი,—ასე უწოდა ოდესას დიდ-
მა სტალინმა. მშრომელები, ახალგაზრდობა
ამაყობენ მშობლიური ქალაქით, ამაყობენ
საბჭოთა კავშირის იმ 80 გმირით, რომლებიც
დედასამშობლოს მისცა ოდესამ. კომკავში-
რელები, ახალგაზრდები ყოველდღიური
თავდადებული შრომითი ცდილობენ გაამა-
რთონ ეს სახელწოდება, შრომის ფრონტზე
განამტკიცონ ბრძოლის ფრონტზე მოპოებუ-
ლი ტრადიციები.

ნიკოლოზ ჯაში





ხაფანგი

გიორგი შაგვარაშვილი

მოთხრობა

ამ რამდენიმე დღის წინათ მამამ პატარა ლეოს ფოტოაპარატი მოუტანა და დიმილით უთხრა:

— აჰა, შვილო, მიიღე ჩემგან საჩუქრად კარგი სწავლისათვის!

ლეოს დიდიხნის ნატვრა შეუსრულდა. სიხარულით ცას ეწია. მამის რჩევით ჯერ აპარატის ყუთში ჩადებული პატარა წიგნაკი გადაფურცლა და სურათის გადაღების წესების შესწავლას შეუდგა.

ლეო დაკვირებული და მუყაითი ყმაწვილი იყო. აპარატის მოწყობილობას ადვილად გაეცნო და მალე სურათების გადაღებაც დაიწყო.

პირველად პატარა თინას გადაუღო სურათი, ხელში უზარმაზარი თოჯინა დააჭერინა. საღამოს ლეომ ოთახი ჩააბნელა და ნეგატივების გამოძეგვას შეუდგა. შშობლები ბავშვებთან ერთად პირველი სურათების დანახვას მღელვარებით მოელოდნენ. სურათები მართლაც კარგი გამოვიდა.

მეორე დღით ლეომ მეზობლის ბავშვებს ჩამოურბინა და თავისი ნამუშევარი აჩვენა. სურათები ყველას მოეწონა. მხოლოდ ნიკა იღვა მოღუშული და ნაწყენი კილოთი ამბობდა:

— გადაღება არა გცოდნია... სურათები ბუნდოვანია...

— არა უშავს, შემდეგ უკეთ გადავიღებ... ეს ხომ პირველი სურათები.

ნიკა გაბუტულივით იღვა და თავისთვის რაღაცას ბუზღუნებდა.

საქმე ის არის, რომ ამ სამი თვის წინათ ნიკასაც უყვიდეს აპარატი. მაგრამ იგი უგულოდ ეკიდებოდა მას, აპარატი ისე გააფუჭა, რომ სურათების გადაღებაც კი ვერ შეისწავლა.

— ახლა ჩვენ გადაგვიღე სურათი. აგერ, იქ, თოვლის კაცთან — წამოიძახეს ბავშვებმა.

— ახალავე გადავიღებთ. — ხალსიანად თქვა ლეომ და შინიდან აპარატი გამოარბენინა.

ბავშვები თოვლით მოფენილ ქუჩაში გავიდნენ. მართლაც, ამ დღით, ბიჭებს უზარმაზარი თოვლის კაცი გაეკეთებინათ. ლეომ ბიჭები თოვლის კაცთან დააყენა და მანძილი თვალთ გამოზომა.

— ნიკა, თავი მალა ასწიე, თორემ ცუდად გამოხვალ... კოტე, შენ ცოტა აქეთ მოიპოი! — იძლიოდა განკარგულებას პატარა ფოტოგრაფი. მეჩერ გააფრთხილა ბავშვები მოემზადეთო და სურათი გადააღო.

— ვნახოთ რა გამოვა... კარგი სურათები შენ კი არა, მე არ გამომიდოდა... — ბუზღუნებდა ნიკა.

ბიჭებმა ახლა გუნდობა დაიწყეს. ლეომ აპარატს ხუფი დახურა და შინისაკენ გასწია.

ეზოს კარს რომ მიუახლოვდა, მოულოდნელად მის თავზე რაღაცამ მიმძვინვარა გაიშხულია. სანამ ქუჩისაკენ მობრუნდებოდა, მხული მეროეთაც გაისმა. ხელში რაღაც მიმძვინვარდა, აპარატი გაუფარდა და ყინულზე დაეცა. გაისმა მტკრევისა და წკრიალის ხმა.

სანამ აპარატის ასაღებად დაიხრებოდა, თოვლისკაცისაკენ გაიხედა. ბიჭები გუნდობაში იყვნენ გართული, მას ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ახლა მეორე მხარეს გაიხედა და ქუჩის ბოლოს ვიღაც ბიჭს მოჰკრა თვალი, რომელიც მოსახვევისაკენ ქუდმოგულეილი გარბოდა. ბიჭი სწრაფად მოუფარა



მონახვევს, მაგრამ ლეომ მაინც იცნო თმახუ-
ქუქა, ოღნავ წელში მოხრილი ნიკა.

„საძაგელი... ნიკა ყოფილა, იმან მეს-
როლა გუნდა, აპარატი დამიმტკრია“.

— გაიფიქრა გულდაწყვეტილმა ლეომ,
აპარატი აიღო და ეხოსაყენ წავი-
და. „რას მტყვევის ძამა, რამდენიმე
დღეა, რაც მიყდა და აი... ის ხომ არ დაი-
ჯერებდა, რომ ნიკამ გამიტყბა...“

თვალტრემლიანი ლეო შინ შევიდა, აპარა-
ტი მავიდახე დადო და ხმამალა აქვითინდა.
— რა მიხდა, რა გატრეხეს? — შეეკითხა
საწერ მავიდასთან მჯღღში ძამა.

ამასობაში დედაც შემოვიდა. იგი ლეოს
მიუახლოვდა და ტირილის მიხეზი გამოჰ-
კითხა.

— ნიკამ აპარატი დამიმტკრია... — აწ-
ლუქუნდა ლეო.

— ნიკამ?... თუ შენ გატეხე?... ასე უნდა
ნაჩუქარის მოვლა? — მკაცრად ჰკითხა მამამ.

— არა, მამა, არა... გუნდა მომხვდა და
აპარატი ხელიდან გამივარდა.

— ნამდვილად იმან გეგროლა?...
— ჩემი თვალით, ჩემი თვალით დავინახე.
შინისკენ გარბოდა. — მოუმატა ტირილს
ლეომ.

მამამ აპარატი აიღო, დაათვალიერა, თავი
გადააქნია და მტრად ლეოს მიმართა:
— გატეხილს, შვილო, აღარაფერი ეშვე-
ლება. დამშვიდდი... სადილობის შემდეგ ნი-
კას დედასთან მივალთ და ყველაფერს გამო-
ვარკვევთ!



სადილობის შემდეგ ლეო და მამამისი ნი-
კას ოჯახს ეწვივნენ.

კარი თეთონ ნიკამ გაუღო. არასასიამო-
ნო სტუმრების დანახვისთანავე შეკრთა და
უკან დაიხია.

— დედა შინ არის? — შეეკითხა მასპინ-
ძელს ლეოს მამა.

— არა... — ხმის კანკალით სთქვა ნიკამ
და უმაღლეს ენაზე კბინა, რადგან ამ დროს
მეორე ოთახიდან ქალის ხმა გაისმა.

— ვინ არის?
— ჩვენ ვართ, მეზობლები, — გაეპასუხა
ლეოს მამა და ნიკას მკაცრად გადახედა.

— მობრძანდით, მობრძანდით...
მამა-შვილი ოთახში შევიდნენ.

ნიკას დედა ძალიან შეაშუხა მომხდარმა
ამბავმა. ნიკა ჯიუტობდა და არა ტყდებოდა:
მე დღეს ქუჩაში სრულებითაც არა ვყოფილ-
ვარო, ვაკვეთილებს ვსწავლობდი, ლეო
ციოლა მუამბესო.

— შენ, ყმაწვილო, ტყუილები გცოდ-
ნია... აი, უწლანაც მონიღომე ჩვენი მოტყუე-
ბა, დედა შინ არ არისო!

— მეგონა ეხოში იყო... — ახლ სულსა
ნიკა.

— საძაგელო... მაცალი! — არჩენს
დედამ შვილი.

— მაგრამ, იცოდე, ტყუილს მოკლე ფეხე-
ბი აქვს! — დაუმატა ლეოს მამამ და თავი
სინახულით გაიქნია.

— თუ ახლავე არ დატუშვით, უარეს
ნებაში... ახლა კი მშვიდობით!

— თოვლის გუნდა მე არ მისვრია, არა...
დღეს ქუჩაში არა ვყოფილვარ-მეთქი! —
კვლავ ჯიუტად იმეორებდა ნიკა.

უცებ ლეოს მოულოდნელმა აზრმა გაუ-
ელვა, გაიღიმა, ხელი ხელს შემოჰკრა და მამა-
ს გაბედულად უთხრა:

— მამა, მე დავამტკიცებ, რომ ნიკა
დღეს გარეთ იყო.

— როგორ, შვილო?... ახლა მთელ ქუჩას
ნუ შემომბატარებ... საცმარისია...

— მე დაუშვამტკიცებ... ენახოთ თუ არ მოიხ-
დის ბოდიშს.

შინ რომ დაბრუნდნენ, ლეომ აპარატი
ხელში აიღო, მამას მიუტანა და ჰკითხა:

— მამა, დღეს გადაღებული სურათის ნე-
გატივი ხომ არ გაფუძვდებოდა?
— ენახოთ, აბა!

მამამ, აპარატი ყურადღებით დაათვალიე-
რა.

— ხედავ, აპარატში შუქი არ შესულა.
ნეგატივი გადარჩენილია.

— მამოკარგი, — წამოიძახა ლეომ აღტა-
ცებით. ოთახი ჩააბნელა და ნეგატივის გა-
მოძლავნებას შეუდგა.

მამა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს
შვილს და სურათის გამოძლავნებაში ენმა-
რებოდა.

ოთახი გააშუქეს და სურათი ელექტრონის
ლაშფასთან მიიტანეს. სურათი ჯერ ლეომ
გასინჯა და ოთახში ხტუნვა დაიწყო.

— აი, ხომ ვამბობდი, დაუშვამტკიცებ-
მეთქი, აი, დღეს თუ არ ყოფილა ის მატყუარა
ქუჩაში... აბა, ნახე, — აღფრთოვანებით,
ხტუნვა-ხტუნვით მიუტანა ლეომ ახალი სურ-
ათი მამას.

მამამ სურათს დახედა. თოვლის კაცთან
მდგომ ბავშვებში სახემოლუშული ნიკა იც-
ნო, სიამოვნებით გაიღიმა და თქვა:

— მატყუარა მართლაც ხაფანგშია გაბმუ-
ლი... მე ხომ ვუთხარი, ტყუილს მოკლე ფე-
ხები აქვს-მეთქი!

— ახლა ხომ მოიხდის ბოდიშს, ის საძა-
გელი. ხომ დაისჯება, ის ცრუპენტელა,
ისა?! — არ ცხრებოდა გახარებული ლეო.

— უნდა დაისაჯოს, უსათუოდ, სასტიკად
უნდა დაისაჯოს! — კვერს უკრავდა მამა და
შვილს სიყვარულით დასცქეროდა.



1. კუხიანი

ნაბ ვ. ბელეცკაისი

სადაც, კვეყნის გარეშე,
 ოცდამეცხრე მხარეში
 იყო მეფე დადონი —
 გულზეიადი ბატონი.
 სიყრმიდანვე მეზობლებს
 უოხრებდა მთელ სოფლებს,
 სიბერის კარს მისულმა
 დასვენება ისურვა,
 ხმლის ქარქაშში ჩაგება...
 მაგრამ ვაწყურა განგება:
 მეზობლები აპხედრდნენ,
 თავს ესხპოდნენ, გაბელდნენ,
 და რომ მხარე დაეცვა,
 რომ მტრის ცეცხლს არ დაეწვა,
 აყენებდა საზღვარზე
 ჯარებს მრავალ ათასებს.
 თუმც სარდლები არ თვლენდნენ,
 მაგრამ თავს ვერ ართმევდნენ;
 ხმელეთით რომ ელოდნენ,
 მტრები ზღვიდან უვლიდნენ;
 აქ რომ ყლელტდნენ საზოზღართ,
 იქ ჩნდებოდნენ. — ბრაზისგან
 ხან სტიროდა დადონი,
 ხან ვერც სთვლემდა ბატონი.
 ამგვარ ქირში მშველელად
 ბრძენს მოუხმო მრჩეველად.
 ჰგზავნის შათირთ, მზმობელთა,
 ბრძენიც გაჩნდა მფლობელთან;
 მეფეს ქირის წამალი
 მისცა ოქროს მამალი.

უთხრა: — დასვი მარგილზე,
 სადმე მუყდრო ადგილზე;
 გაუფრთხილი ჩემს მამალს
 უდარაჯებს შენს მამულს;
 ირგვლივ თუა მშვიდობა,
 ჩასთვლემს, არც მოშივდება,
 მაგრამ თუ მეზობელი
 აღსდგა, ომი მოგვიის,
 ან სხვა მოდის ვერაგი,
 გელის რამ ფათერაკი,
 მაშინ ჩემი ფრინველი
 დასჭექს ხმით საკვირველით,
 იქით შემობრუნდება,
 სადაც მტერი გროვდება.
 მეფემ ბრძენი დატვირთა,
 ოქროს მთებიც დაჰპირდა;
 — შენ მადლობა ურიცხვი
 ასეთ სამსახურისთვის.
 მე გაბრძობი: სურვილი
 შეგისრულო პირველი.
 ზის მამალი, ამ ხნიდან
 საზღვრებს ზევრავს მალიდან,
 თუ კი საკრთხე იწყება,
 თითქოს გაეღვიძება,
 გაჰკრავს, შემობრუნდება,
 სადაც მტერი გროვდება
 და გაჰკვილებს მაშინვე:
 „მეფემ, ნურა გაშინებს“.
 და შესწყვიტა თავდასხმა
 მტერმა ასი ათასმა.

6292



ისე დაჰკრა დაღონმა—
დიდმა მეფე ბატონმა.
წელი წელს სცვლის მალ-მალე
ზის, არ შფოთავს მამალი;
მაგრამ ერთ დღეს ბატონი
გააღვიძეს დაღონი:
— მეფე, დადგა ავდარი,—
გაიძახის სარდალი.—
— აღ დეჰ, მეფე, მამაო.
— ხომ არ მოხდა რამაო?—
ამბობს მეფე ამდგარი.
— რა სთქვით, რისი ავდარი?
— ჰყვიის ჩვენი ფრინველი,—
ეტყვის მაცნე პირველი,
— შიშობს ხალხი მრავალი.
მეფემ ნახა მამალი—
ხტის ფრინველი. გაჰყვირის,
აღმოსავლეთს გაჰყურებს.
მეფე ბრძანებს: „საჩქაროდ
ცხენზე, ჩემო ლაშქარო“.
და ჯარს ჰგზავნის დანდობით
უფროსი ძის სარდლობით.
აი, რვა დღე ჩარიგდა,
ცნობა არ ჩანს ჯარიდან,
გაიმარჯვა... დამარცხდა...
შვილი არ სწერს მამასა.
ისევე ჰყვირის მამალი...
მეფე ახალ ამალით
ჰგზავნის უმცროსს ამხელად
უფროს შვილის სახსენლად.
კვლავ დაჩუმიდა მამალი,
მაგრამ ცნობაც არ არი.
რვა დღე ისევე გავიდა,
ისევე ჯარი ახალი...
ჯარს გაუძღვა დიდონი,
თვითონ მეფე ბატონი.
მიდიან და მიდიან,
გზა გრძელი და დიდია.
ავერ რვა დღეც ჩარიგდა,
მთას მიადგა ჯარითა,
მთაზე არ ჩანს არავინ,
დგას ატლასის კარავი,
კარვის ირგვლივ ჩაკვდარი
ჰყრია ძმათა ლაშქარი,
ერთიც არ დგას იმათვან.
მეფე კარავს მიადგა,
და რას ჰხედავს დაღონი:

დახოცილნი, მარტონი
წვანან მისი ვაეები,
ერთ-უროთისთვის დაშნები
დაუციათ მეკრძღედა
და ცხენები ველზედა,
უპატრონო ცხენები
ქრიაან შეუსვენებლევ.
მეფე ჰგოდებს:— შევიღებო,
ოხრად დახოცილებო,
შეეარდნებო, მამაცნო,
ვევლები თქვენი მამაცო.
და კარავთან დამდგარი
აქვითინდა ლაშქარი,
ისვის ხმა შემზარავი;
მაგრამ უცებ კარავი
გაიხსნა და ქალწული,
შამახელი ასული
მეფეს შეხვდა, დიადი,
ბრწყინავს ვით განთიადი.
მეფე, მიაი მხილველი —
მზის წინ ლამის ფრინველი—
შესდგა გულმორჩილებით,
დაავიწყდა შვილები.
ქალი ნეფის წინაშე
დგას ლიმილის ბრწყინვაში,
მერე მეფე ალერსით
შეიყვანა კარავში;
მოუსვენა ზრუნვითა,



ფარჩა-აბრეშუმითა.
შემდეგ უცხო ასულით
მეფე თავბრუდასხმული
მთელი კვირა ბატონი
ნადიმობდა დადონი.

ბოლოს დაჰკრა ნალარა,
მეფემ ჯარი აჰყარა
და ჰა, თავბრუდასხმული
შინ დაბრუნდა ასულით.
საესე იყო ქალაქი
მათზე ათას არაკით.
მეფეს, როგორც ღრეობა,
შეხვდა მოსახლეობა.
ხალხს უღიმის დადონი,
უცებ ჰხედავს ბატონი,
მოდის გაფითრებული,
სულ მთლად გათეთრებული,
ბრძენი მისი ძმობილი;
ესალმება მფლობელი,
ეტყვის:—მამავ, ბრძენ-სულო,
მთხოვე რაცა გესურვოს.
ბრძენი ეტყვის:—ბატონო,
მო, გაესწორდეთ, ბატონო,
გახსოვს? საქმის, ბრძენულისთვის,
ჩემი სამსახურისთვის
შენ დამპირდი: სურვილი
შემისრულო პირველი.
ჰა, გთხოვ მომცე ასული,
შამახელი ქალწული.
რეტდასხმული ამითა
მეფე ამბობს:—რა მითხარ,
რა სიტყვა სთქვი წყეული,
აღბათ ხარ შერყეული,
ხარ ეშმაკის შეგირდი...
მე, სწორია, შეგპირდი,
მაგრამ ქვეყნად რაც არი,
ყველაფერს აქვს საზღვარი.
ვინც ვარ, გავეგონება,
თუ გსურს მთხოვე ქონება,
ან წოდება მთავრისა,
ცხენი მეფის თავლისა,
მხოლოდ ნუ მთხოვ ამ ასულს.
— არა, სხვა რამ არა მსურს.
გთხოვ მაჩუქო ასული,
შამახელი ქალწული.
მეფე ამბობს:—გახსოვდეს,
არა, ეგ არასოდეს.



მითქვამს მაგ ხმის გაკმენდა,
გამეცალე აქედან.
სიტყვის შემობრუნება
მეფემ აღარ ინება,
კვერთხი დაჰკრა კეტივით,
მოჰკლა ბრძენი კეთილი.
შედრკა დედაქალაქი,
აჩოჩქოლდა,—ქალი კი
გულიანად ხარხარებს,
თითქოს ცოდვა ახარებს.
მკვლელს თუმცე გაჰკრა წუხილმა,
მაინც ქალს გაუღიმა
და ქალაქში შევიდა;
მაგრამ უცებ რხევითა
მარგილიდან ფრთამალი
ძირს დაეშვა მამალი,
ფრთა გაშალა ეტლისკენ,
გაიქანა მეფისკენ,
ნისკარტი ჰკრა კეუვაში
და შესცურდა ზეცაში.
ძირს დაეცა დადონი,
მოკვდა მეფე ბატონი,—
ქალიც გაჰრა მაშინვე
როგორც უჩინმაჩინი.
აქ სულ ცრუა რაც არის,
ბევრს კი ქუთას ასწავლის.
თარგმნა ირაკლი აბაშიძემ



მთხრობა

ერთი ქვრახეწვიანი ძროხა გვყავს. მთელი ჩვენი ოჯახი მას ლამაზს ეძახის. მამაჩემმა მითხრა: — შენ რომ დაიბდე, იმ წელს ვიყიდე ლამაზად.

მართლაც ლამაზია ჩვენი ლამაზი.. განსაკუთრებით მამინ, როცა მის ყურადღებას მიიპყრობ. ის გიციქვრის დიდრონი, ქკვიანი თვალებით, ყურებაცქვეტილი. რამდენჯერ ჩამოვიდეძვიარ კისერზე და დამიკოცნია მისი ფართო შუბლი...

